საქართველო
ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
BAGHDATI MUNICIPALITY GOVERMENT
HALL

ბრძანება:**ბ66.66220479**
თარიღი:**16/02/2022**

**საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე“ პუნქტის „ე.ე“ და ,,ე.ვ“ ქვეპუნქტების, ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა დ კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილებისა და ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის N277 განკარგულების შესაბამისად

**ვბრძანებ:**

1. შეიქმნას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) კახა ენუქიძე - ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერი - **ჯგუფის ხელმძღვანელი;**

ბ) დავით სილაგაძე - მერის პირველი მოადგილე;

გ) მერაბ ზირაქაძე - მერის მოადგილე;

დ) ლერი გუმბერიძე - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;

ე) ალექსანდრე გოგსაძე - ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახურის საპროექტო მომსახურების და მიმდინარე სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ინსპექტირების განყოფილების უფროსი;

ვ) ხათუნა კირკიტაძე - ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში;

ზ) როსტომ რობაქიძე - ადმინისტრაციული სამსახურის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური განყოფილების II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში;

თ) კახა გოგნაძე - ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;

ი) ეკატერინე მშვილდაძე - ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი;

კ) მანაველ კვირიკაშვილი - ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარების, დაგეგმვის და პროექტების კოორდინირების განყოფილების უფროსი

ლ) თეონა გოცირიძე - სპეციალისტი ზედა დიმის ადმინისტრაციულ ერთეულში;

მ) ირაკლი ლომინაშვილი - ოპერატორი;

ნ) მადონა გუმბერიძე - სპეციალისტი ზედა დიმის ადმინისტრაციულ ერთეულში;

ო) კახა მსხვილიძე - ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი;

პ) ანტონ ქარაბაკი - ადმინისტრაციული სამსახურის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი;

ჟ) თეიმურაზ გეგეშიძე - ადმინისტრაციული სამსახურის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში;

რ) სალომე მაჭავარიანი - სპეციალისტი ქალაქ ბაღდათის ადმინისტრაციულ ერთეულში;

ს) ქეთი კბილაშვილი-სპეციალისტი ქალაქ ბაღდათის ადმინისტრაციულ ერთეულში;

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.ქუთაისი, კუპრაძის ქ.N11) ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

კახა ენუქიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია-ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი